სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №24
2026 წლის 3 აგვისტო

ქ. სამტრედია

„სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 აპრილის №49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

1. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 დეკემბრის №49 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 11.04.2022, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.120.016409) შეტანილ იქნეს ცვლილება.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-5 მუხლის მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17. სამართალდარღვევის ოქმის ფორმის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა ხდება საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 36^1, 51^3, 53^3, 55-ე, 55^2, 55^3, 55^6, 77^1, 82^5 (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 103-ე, 103^2, 119^1 მუხლების, 125-ე მუხლის მე-8, მე-12–მე-16 ნაწილების, 125^4 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილის, 134-ე, 135-ე, 135^1, 146^1, 148-ე, 150-ე, 150^1, 151-ე, 151^2, 152-ე, 152^2, 153^4 მუხლების, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 159-ე და 159^1 მუხლების, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 31-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე მუხლების, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 39-ე მუხლის, 43-ე მუხლის პირველი ნაწილის, 46-ე მუხლისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-80 მუხლის საფუძველზე.“.

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-9 მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. სამართალდარღვევის ოქმის ფორმის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენა საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 36^1, 53^3, 55^2, 55^6, 77^1 და 82^5 (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში) მუხლების, 103-ე მუხლის, 103^2-ე მუხლის, 125-ე მუხლის მე–8, მე-12 – მე-14 ნაწილების, 125^4 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 135-ე და 135^1 მუხლების, 148-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, 152^2 მუხლის, 158^5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების და 159-ე მუხლის, საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 31-ე, 32-ე, 33-ე, 34-ე, 35-ე მუხლების, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 39-ე მუხლისა და 43-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ვაჟა სტურუა**